☆

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მიმართულება: საზოგადოებრივი გეოგრაფია
სამაგისტრო პროგრამა – დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია

ა) პროგრამის სახელწოდება – დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია (Demography and Population Geography)

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია – სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი დემოგრაფიაში (Master of Social Sciences in Demography)

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 120 კრედიტი

დ) სწავლების ენა – ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე – სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის, ვინც გადაწყვეტს ახალ პროფესიად დემოგრაფიის არჩევას. საქართველოშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, გამწვავებული დემოგრაფიული პრობლემების გამო აუცილებელი ხდება დემოგრაფიული პროცესების არამარტო სახელმწიფოებრივი, არამედ საზოგადოებრივი მართვა. ეს კი, დღის წესრიგში აყენებს ამ სფეროსათვის მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი კადრების მომზადების მწვავე აუცილებლობას. უფრო მეტიც, პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე დემოგრაფიული განათლების გარკვეული დონე ყველა სფეროს სპეციალისტისათვის ისევე აუცილებელი გახდა, როგორც სხვა ჰუმანიტარუილი საგნების ცოდნა. ამიტომაც, პროგრამის მიზანია ქვეყანაში მოამზადოს კვალიფიციურ დემოგრაფთა კადრები. სწორედ ამ მიზნით პროგრამა შეძლებს მაგისტრანტებს გააცნოს და ღრმად შეასწავლოს დემოგრაფიულ მეცნიერებათა ძირითადი თეორიები და დებულებები, კატეგორიები და კანონები, აგრეთვე გააცნოს მსოფლიოში მიმდინარე ინტენსიური მიგრაციული პროცესები, მათი გეოგრაფია, მიმართულებები, გამომწვევი მიზეზები და შედეგები.

პროგრამის მიზანია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ხედვა თანამედროვე მსოფლიოში დემოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მეცნიერებების სისტემის როლისა და მზარდი მნიშვნელობის შესახებ. დემოგრაფიულ მეცნიერებათა სწავლება

მნიშვნელოვნად ფართოვდება, როგორც დასავლეთის ისე აღმოსავლეთის ქვეყნების უნივერსიტეტებში. აქედან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- მაგისტრებს შესძინონ კომპეტენცია კაცობრიობის განვითარებაში, მათ შორის საქართველოში, მოსახლეობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ;
- შეასწავლოს მოსახლეობის განვითარების თავისებურებები დინამიკაში, როგორც მსოფლიო ასევე რეგიონული და ცალკეული ქვეყნების ჭრილში;
- გააცნოს მაგისტრანტებს დემოგრაფიული სფეროს, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სფეროებთან ურთიერთკავშირის სისტემა;
- შეასწავლოს უაღრესად მნიშვნელოვანი მიგრაციული პროცესების (მათ შორის, კავკასიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ) სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული ასპექტები და გაანალიზება;
- შეასწავლოს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობათა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, მისი ანალიზი, როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე და სამომავლო ჭრილში;
- სტუდენტებს გამოუმუშაოს ჰუმანიზმის დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების ცოდნა და პატივისცემა;

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ეცოდინება როგორ მოიპოვოს, დაამუშაოს და გააანალიზოს დემოგრაფიული და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ინფორმაცია. შეიმუშაოს დემოგრაფიული განვითარებისა და მიგრაციული პროცესების მართვისთვის საჭირო რეკომენდაციები;

სამაგისტრო პროგრამის დამთავრების შემდეგ, კურსდამთავრებულებს სწავლის გაგრძელება შეეძლებათ დოქტორანტურაში. მათ მუშაობა შეეძლებათ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძო სექტორში, ბიზნეს სტრუქტურებში. აღნიშნულ დაწესებულებებში მათ შეეძლებათ მოახდინონ მიმდინარე ურთულესი დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების მონიტორინგი, ანალიზი და პროგნოზირება, მოდელირების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით. პროცესების ამგვარი ანალიზი, პროგნოზირება და მოდელირება კი, სულ უფრო აქტუალური ხდება სოციალური, ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური პროფილის ყველა დაწესებულების, ორგანიზაციისა თუ კომპანიისათვის. ეს გარემოება უსათუოდ ბადებსდა მომავალში კიდევ უფრო გაზრდის მოთხოვნას მაღალკვალიფიციურ პროფესიონალ დემოგრაფებზე.

ვ) **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებას განსაკუთრებული წინაპირობები არ გააჩნია. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველი უნდა იყოს ბაკალავრის ხარისხის მქონე, ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელმაც უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და საუნივერსიტეტო გამოცდა -გასაუბრება (სპეციალობაში და ინგლისურ ენაში B1 დონე).

ზ) სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	**სტუდენტს ეცოდინება:** • დემოგრაფია, როგორც მეცნიერებათა სისტემა სიღრმისეულ დონეზე; მისი ამოცანები, მიზნები, პარადიგმები, დემოგრაფიული მაჩვენებლები; ასევე თანამედროვე დემოგრაფიის პრობლემები, რაც საშუალებას მისცემს ღრმად და სისტემურად გააცნობიეროს დემოგრაფიული პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები; • დემოგრაფიული თეორიების ჩამოყალიბების საფუძვლები ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტში, რაც საშუალებას მისცემს გააცნობიეროს თანამედროვე დემოგრაფიული პრობლემები და მათი მოსალოდნელი შედეგები. • დემოგრაფიული ანალიზი, მისი პრინციპები და მეთოდები, რომელიც საშუალებას მისცემს გააცნობიეროს დემოგრაფიული მაჩვენებლები სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით; დემოგრაფიული მაჩვენებლების დამუშავების პრინციპები და მეთოდები. • შობადობის, მოკვდავობის, მოსახლეობის ზრდის, მიგრაციის, გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები, მათი დამახასიათებელი მაჩვენებლები, რაც საშუალებას მისცემს გააცნობიეროს დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობა და მათ საფუძველზე გააკეთოს პროგნოზული გაანგარიშებები; • სოციოლოგიური მეთოდები დემოგრაფიაში, დემოგრაფიული მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით, რაც მისცემს საშუალებას გააცნობიეროს დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორები და შეიმუშაოს სათანადო დემოგრაფიული ღონისძიებები. • ანალიზის ძირითადი პრინციპები, რეალური და პირობითი თაობების მიხედვით დემოგრაფიული მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდები, რაც საშუალებას მისცემს ააგოს ლექსისის ბადე და გაანალიზოს დემოგრაფიული მოვლენები. • საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დემოგრაფიული მაჩვენებლები ისტორიულ

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები	რაკურსში, რაც საშუალებას მისცემს გააცნობიეროს მათი დემოგრაფიული პრობლემები შედარებითი ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს მათი გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები. • საქართველოს მეზობელი ქვეყნების - ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების თავისებურებები, დემოგრაფიული მახასიათებლები, რაც საშუალებას მისცემს გააცნობიეროს ისინი საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან მიმართებით. **სტუდენტი შეძლებს:** • სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დემოგრაფიული მოდელების აგებას ცალკეული პარამეტრების მიხედვით, რაც საშუალებას მისცემს გაანალიზოს და პერსპექტივაში განსაზღვროს ამა თუ იმ დემოგრაფიული მოვლენის განვითარების ტენდენციები. • დემოგრაფიული მაჩვენებლების კრტიკული ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები; • დემოგრაფიული მაჩვენებლების დამუშავებას და ანალიზს კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით. • მათემატიკური მოდელების გამოყენებით დემოგრაფიული მაჩვენებლების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნისა და პროგნოზის გაკეთებას; • რეალური და პირობითი თაობების მეთოდების საფუძველზე მიღებული დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით ლექსისის ბადის აგებას და დემოგრაფიული მოვლენების გაანალიზებას. • ქვეყნების მიხედვით გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის, საერთაშორისო ორგანიზაციების როლისა და რეკომენდაციების გათვალისწინებას ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ოპტიმა-ლური დემოგრაფიული პოლიტიკის შესამუშავებლად. • კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შობადობის დონის, მოკვდაობის, ქორწინებისა და განქორწინების მასშტაბების, მიმდინარეობის ინტენსივობისა და მათზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრას. • საქართველოს მოსახლეობის როლის და ადგილის განსაზღვრას ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარებაში. • სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დემოგრაფიული მოვლენის განვითარების ტენდენციების ანალიზს; • დემოგრაფიული პარამეტრების მიხედვით მოდელების შექმნასა და მათი იმპლიმენტაციისათვის საჭირო კომპლექსური მონაცემების ანალიზს. • დემოგრაფიული თეორიების სხვადასხვა ასპექტის მისადაგებას/გამოყენებას თანამედროვე დემოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებით.

	• საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების ისტორიულ, გეოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ ჭრილში შედარებითი ანალიზის საფუძველზე, მათი გამომწვევი მიზეზებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას . • საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დემოგრაფიული პრობლემების გაანალიზებას ისტორიულ, გეოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში.
კომუნიკაციის უნარი	**სტუდენტი შეძლებს:** • დემოგრაფიის საკითხებზე არგუმენტირებული დასკვნების პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციას თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით. • დემოგრაფიული კვლევის მეთოდების გამოყენებას და მონაცემების დამუშავებას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით, მათ ინტერპრეტაციას და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციას.
დასკვნის უნარი	**სტუდენტი შეძლებს:** • მათემატიკური მოდელების გამოყენებით დემოგრაფიული მაჩვენებლების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნისა და პროგნოზის გაკეთებას; • რეალური და პირობითი თაობების მეთოდების საფუძველზე მიღებული დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით ლექსისის ბადის აგებას და დემოგრაფიული მოვლენების გაანალიზებას. • დემოგრაფიული მაჩვენებლების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას; • დემოგრაფიული მაჩვენებლების დამუშავებასა და ანალიზს კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით. • დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობის განსაზღვრასა და მათ საფუძველზე პროგნოზული გაანგარიშებების გაკეთებას; • დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრას და სათანადო დემოგრაფიული ღონისძიებების შემუშავებას. • დემოგრაფიული პროცესების მაჩვენებლების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებას და პროგნოზულ გაანგარიშებებს;

	• დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებას და სათანადო დემოგრაფიული ღონისძიებების შემუშავებას. • დემოგრაფიული მაჩვენებლების, მათემატიკური მოდელების, ლექსისის ბადის მიხედვით დემოგრაფიული მაჩვენებლების, საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დემოგრაფიული პრობლემების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებას და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას. • დემოგრაფიული პოლიტიკისა და მისი შედეგების, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დემოგრაფიული თეორიების სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებას დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებებთან მიმართებით; • კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებისა და განქორწინების, მათზე მოქმედი ფაქტორების შესახებ არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებას. • ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარებაში საქართველოს მოსახლეობის როლისა და ადგილის შესახებ არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებას. • დემოგრაფიული თეორიების სხვადასხვა ასპექტის გამოყენებას და მათ საფუძველზე თანამედროვე დემოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებით არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებას.
სწავლის უნარი	**სტუდენტი შეძლებს:** • სწავლის პროცესში მრავალ ფაქტორზე დამოკიდებული ცვალებადი დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებას და მისი გამოსწორებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებას. • დემოგრაფიული პარამეტრების მოძიებისა და გათვალისიწინების გზით და სწავლის პროცესის სტრატეგიულ დაგეგმვას;
ღირებულებები	**სტუდენტი შეძლებს:** • შეაფასოს სხვადასხვა ეპოქის დემოგრაფიული კონცეფციები თანამედროვე ფასეულობათა სისტემის ასპექტში და შეიტანოს საკუთარი წვლილი ამ სფეროში ფასეულობების დამკვიდრებაში.

	• დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, სოციალური, გენდერული, ეთნიკური და რელიგიური თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებასა და დაცვას; • აღნიშნული პრინციპების დამკვიდრებაში თავისი წვლილის შეტანას.

თ) სწავლის მეთოდები:

ინტერაქტიული ლექცია – სტუდენტებისთვის ახალი მასალის მიწოდება მათი დისკუსიაში ჩართვით, რაც ხელს უწყობს სტუდენტის მონაწილეობასა და ახალი თემატიკის უკეთ გაცნობიერებას. თვალსაჩინოებისათვის გამოყენება: პოსტერები, სქემები, სლაიდ-შოუები და სხვ.

სემინარი – სტუდენტებისთვის ლექციაზე განხილული თემების/საკითხების მიწოდება განსახილველად და მსჯელობისთვის, ლექტორის მონაწილეობით. პედაგოგი წამოაყენებს საკითხს/თემას, რაზეც სტუდენტები თავიანთ ინტერპრეტაციას აკეთებენ და აყალიბებენ დასკვნებს, რაც ხელს უწყობს მასალის უკეთ გაცნობიერებას.

დისკუსია – ლექტორის მიერ წამოყენებულ საკითხზე სტუდენტი იწყებს მსჯელობას; დავალება შეიძლება შესრულდეს ჯგუფური მუშაობის ფორმითაც, რაც ხელს შეუწყობს თეორიული მასალის უკეთესად გაგებას, გაცნობიერებას, ლოგიკურ მსჯელობას, აგრეთვე შეფასების, დასკვნების გაკეთების უნარების გამომუშავებას.

დებატები – სტუდენტები მუშაობენ ჯგუფურად, ლექტორის მიერ წამოყენებულ პრობლემურ/არაერთმნიშვნელოვან საკითხზე, გამოთქვამენ კრიტიკულ მოსაზრებებს ოპონენტის მიერ წამოყენებულ დასაბუთებაზე, რაც ხელს უწყობს კრიტიკული ანალიზის უნარის, ასევე კონსტრუქციული არგუმენტირებული მოსაზრების ჩამოყალიბებას, პრობლემის გადაწყვეტის უნარის გამომუშავებას.

შემთხვევის ანალიზი – კონკრეტული, ძირითადად რეალური, პრობლემური სიტუაცია განხილვისა და მრავალმხრივი ანალიზისათვის ეძლევა რამდენიმე სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფს, რაც შეიძლება საჭიროებდეს გარკვეული თეორიული მასალის მოძიებასაც, ეს კი ხელს უწყობს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნის საფუძველზე პრობლემური და კომპლექსური საკითხების გადაჭრას, ასევე ჯგუფური მუშაობის უნარების გამომუშავებას.

ჯგუფური მუშაობა –კონკრეტულ საკითხზე გარკვეული რაოდენობის სტუდენტთა ერთობლივად მუშაობა, შესასრულებელი სამუშაოს განსაზღვრა, სამუშაოს განაწილება, ერთმანეთის მიერ შესრულებული სამუშაოების შეჯერება და დასკვნების გაკეთება, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარების გამომუშავებას.

ანალიზი – მონაცემების კატეგორიზაცია, კლასიფიცირება, დახარისხება, თითოეული მათგანის შესწავლა, შესაბამისი მახასიათებლების გამოყოფა და სათანადო დასკვნების გაკეთება, ასევე, გამოვლენილი კანონზომიერებების ახსნა.

სინთეზი – მონაცემების/შედეგების მისადაგება თეორიულ მასალასთან, კონცეფციასთან და მათ საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

რეფერატი – სტუდენტს დასჭირდება დამატებითი ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და წერილობითი სახით ჩამოყალიბება, რაც მას განუვითარებს სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის, მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ლოგიკურად ჩამოყალიბებული და არგუნენტირებული ნაშრომის დაწერისა და მისი ეფექტური ფორმით პრეზენტაციის უნარს.

ტესტი – წერილობითი ნამუშევარი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდების დროს.

კონსულტაცია – საჭიროების შემთხვევაში სტუდენტისათვის დამატებითი ახსნა-განმარტების მიცემა კონკრეტულ თეორიულ/პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებით.

ვერბალური მეთოდი/მასალის ზეპირი პრეზენტაცია – სტუდენტის მიერ დავალებით განსაზღვრული მასალის მოყოლა, კონკრეტულ საკითხზე საუბარი და შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

დამოუკიდებელი მუშაობა – წიგნზე/თეორიულ მასალაზე მუშაობის მეთოდი – ლექციაზე და პრაქტიკულ მეცადინეობაზე განხილული საკითხების წაკითხვა, გაცნობიერება და დასწავლა, რელევანტური მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში.

ი)სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. შეფასება ხორციელდება ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასების გრადაცია შემდეგნაირია:

ქულების რაოდენობა	ნიშანი	შეფასება
91–100	A	ფრიადი
81–90	B	ძალიან კარგი
71–80	C	კარგი
61–70	D	დამაკმაყოფილებელი
51–60	E	საკმარისი
41–50	FX	ვერ ჩააბარა (სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება)

0–40	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი, მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი და კრედიტების მისაღებად დისციპლინის კურსი განმეორებით უნდა მოისმინოს).

კ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით: (იხ. დანართი)

სამაგისტრო პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ სასწავლო გეგმა ეფუძნება მაგისტრანტებისათვის სიღრმისეული ცოდნის გადაცემას. სტუდენტები იწყებენ კონკრეტული დისციპლინების ღრმა და სისტემურ შესწავლას. პირველ სემესტრში სტუდენტებს შევთავაზებთ უპირატესად საბაზო დისციპლინებს, რომელთა დაუფლება ხელს შეუწყობს მომდევნო ორი სემესტრის საგანთა უკეთ ათვისებასა და დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის ძირითადი კანონებისა და თეორიების დაუფლებას, ხოლო ბოლო, მეოთხე სემესტრში სტუდენტებმა, უნდა დაწერონ და დაიცვან სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი), დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის პრობლემატიკიდან, მეცნიერ-ხელმძღვანელის დახმარებით შერჩეული თემის სახით.

ლ)პროგრამის ხელმძღვანელი /ხელმძღვანელები /კოორდინატორი:

რევაზ გაჩეჩილაძე: ხელმძღვანელი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

ვაჟა ლორთქიფანიძე: თანახელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი.

მ) დასაქმების სფეროები:

პროგრამის შემუშავების დროს მიმდინარეობდა აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებელთან, რომ მათთან ერთად განსაზღვრულიყო ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად: საქართველოში არსებობს, როგორც სახელმწიფო (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, სამეცნიერო დაწესებულებები), ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის საერთაშორისო, მსხვილი ბიზნეს-კომპანიები, რომელთაც უკვე დღეს სჭირდებათ და მომავალში კიდევ უფრო დასჭირდებათ დემოგრაფიის, განსაკუთრებით კი რეგიონული დემოგრაფიისა და მიგრაციის სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ პროფესიულად შეისწავლონ, გააანალიზონ და დაგეგმონ მოსახლეობის განვითარების, მათ შორის სულ

უფრო მზარდი მიგრაციული პროცესები. ამიტომაც დემოგრაფიისა და მიგრაციის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებას.

სტუდენტის დასაქმებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში გამომუშავებული უნარ-ჩვევები.

ნ) დამატებითი ინფორმაცია: პროგრამას შეუძლია ყოველწლიურად მოემსახუროს 7-10 სტუდენტს. ცოდნასა და უნარებზე ორიენტირებული სამაგისტრო პროგრამა - დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია, ფართოდ არის დანერგილი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტებში. დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის, როგორც პროფესიის დაუფლება უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება სამაგისტრო პროგრამების მეშვეობით, მათ შორის იმ ბაკალავრებისათვის, ვისაც ეს დისციპლინები საუნივერსიტეტო განათლების პირველ საფეხურზე არ შეუსწავლია. წინამდებარე პროგრამა არ არის მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მიმდინარე ანალოგიური ხასიათის პროგრამების ზუსტი ანალოგი, მაგრამ მსგავსი პროგრამები ხორციელდება ბევრ უნივერსიტეტში:

1. კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი (სამაგისტრო პროგრამა დემოგრაფიაში) –M.A. in Demography, http://www.demog.berkeley.edu/students/demogprogram.shtml
2. ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამაგისტრო პროგრამა დემოგრაფიაში (Masters of Science Degree in Demography)- http://popcenter.fsu.edu/students_graduate.cfm
3. პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი - http://www.pop.psu.edu/general/dual-degree/dual-degree.htm;
4. სტოკჰოლმის უნივერსიტეტი – http://www.suda.su.se/courses_sub_master.asp;
5. ავსტრალიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი - http://adsri.anu.edu.au/study/gradcert.php).
6. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი – http://www.demostudy.ru/magistr.htm;

დანართი 1

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ინსტიტუტი /დეპარტამენტი /კათედრა /მიმართულება: საზოგადოებრივი გეოგრაფია
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: "დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია"
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები: რევაზ გაჩეჩილაძე: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; ვაჟა ლორთქიფანიძე: თანახელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი

პროგრამის სტრუქტურა
120 კრედიტი (ECTS)

№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლის სემესტრი		ლექტორი
			ლექცია	სემინარი	ლექცია-სემინარისთვის მომზადება	შუალედური გამოცდის/ გამოცდებისათვის მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება			შემოდგომა	გაზაფხული	

პროგრამის სასწავლო კომპონენტი (90 კრედიტი) **სავალდებულო კურსები 60, არჩევითი 20 და პრაქტიკა 10**												
სავალდებულო კურსები -60 კრედიტი + 10 ECTS - პრაქტიკა												
1	აკადემიური წერა (მაგისტრანტებისთვის)	5	15	15	75	10	8	2	არ აქვს	+	–	ასისტ. პროფ. ხ. მარწყვიშილი
2	დემოგრაფია 1	5	30	15	60	10	9	1	არ აქვს	+	–	ასოც. პროფ. ა.სახვაძე
3	დემოგრაფია 2	5	30	15	60	10	9	1	დემოგრაფია 1	–	+	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
4	დემოგრაფიული სტატისტიკა 1	5	30	15	60	10	9	1	არ აქვს	+	–	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
5	დემოგრაფიული სტატისტიკა 2	5	30	15	60	10	9	1	დემოგრაფიული სტატისტიკა 1	–	+	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
6	დემოგრაფიული ანალიზი	5	30	15	60	10	9	1	დემოგრაფია 2	–	+	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
7	მიგრაციული პროცესები და გეოგრაფია	5	15	15	75	10	8	2	არ აქვს	+	–	ასოც. პროფ. ი. იაშვილი
8	განვითარების გეოგრაფია	5	30	30	45	10	8	2	არ აქვს	+	–	ასოც. პროფ. ვ. მელიქიძე
9	მათემატიკური მეთოდები და მოდელირება დემოგრაფიაში	5	30	15	60	10	9	1	დემოგრაფიული სტატისტიკა 2	+	–	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
10	საქართველოს მოსახლეობა 1	5	30	15	60	10	9	1	არ აქვს	+	–	პროფ. ვ. ლორთქიფანიძე
11	საქართველოს მოსახლეობა 2	5	30	15	60	10	9	1	საქართველოს მოსახლეობა 1	–	+	პროფ. ვ. ლორთქიფანიძე
12	სოციალური კვლევის მეთოდები	5	15	15	75	10	8	2	არ აქვს	+	–	პროფ. ი. კაჭკაჭიშვილი
13	პრაქტიკა	10	250						არ აქვს	+	–	

	არჩევითი კურსები 20 (შემოთავაზებული არჩევითი 40 კრედიტიდან სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 20 კრედიტი)											
1	მოსახლეობის განვითარების კონცეფციები	5	30	15	60	10	9	1	არ აქვს	+	–	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
2	დემოგრაფიული პოლიტიკა	5	30	15	60	10	9	1	დემოგრაფია 2	+	–	პროფ. ვ. ლორთქიფანიძე
3	კავკასიის მოსახლეობა	5	30	15	60	10	9	1	არ აქვს	+	–	პროფ. ვ. ლორთქიფანიძე
4	რეგიონების მოსახლეობის გეოგრაფია	5	15	15	75	10	8	2	არ აქვს	–	+	ასისტ. პროფ. გ. კვინიკაძე
5	მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები	5	15	15	75	10	8	2	დემოგრაფია 2	+	–	პროფ. რ. გაჩეჩილაძე
6	მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია	5	30	30	45	10	8	2	არ აქვს	–	+	ასოც. პროფ. თ. დოლბაია
7	ინგლისური ენა 1	5	15	15	75	10	8	2	არ აქვს	+	-	
8	ინგლისური ენა 2	5	15	15	75	10	8	2	ინგლისური ენა 1	-	+	
	პროგრამის კვლევითი კომპონენტი (30 კრედიტი)											
	სამაგისტრო ნაშრომი	30	750							-	+	
	სულ	**120**										

პროგრამის ხელმძღვანელი (ების) ხელმოწერა ----------

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ----------

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ----------

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ----------

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ----------

თარიღი ---------- ფაკულტეტის ბეჭედი

დანართი 2.

კომპეტენციების მატრიცა

დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია - მაგისტრატურა

№	სასწავლო კურსის სახელწოდება სავალდებულო საგნები და სავალდებულო კომპონენტები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები	კომუნიკაციის უნარი	დასკვნის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	დემოგრაფია 1	X	X	X	X		
2	დემოგრაფია 2	X	X	X	X		
3	დემოგრაფიული სტატისტიკა 1	X	X		X		
4	დემოგრაფიული სტატისტიკა 2	X	X		X		
5	დემოგრაფიული ანალიზი	X	X	X	X		

6	მიგრაციული პროცესები და გეოგრაფია	X	X		X		
7	განვითარების გეოგრაფია	X	X	X	X		
8	მათემატიკური მეთოდები და მოდელირება დემოგრაფიაში	X	X		X		
9	საქართველოს მოსახლეობა 1	X	X		X		
10	საქართველოს მოსახლეობა 2	X	X		X		
11	აკადემიური წერა	X	X				
12	სოციალური კვლევის მეთოდები	X	X	X	X		X
13	**პრაქტიკა**	X	X	X	X	X	X
14	**სამაგისტრო ნაშრომი**	X	X	X	X	X	X
	არჩევითი საგნები						
15	მოსახლეობის განვითარების კონცეფციები	X	X		X		X
16	დემოგრაფიული პოლიტიკა	X	X		X		X
17	კავკასიის მოსახლეობა	X	X	X	X		
18	რეგიონების მოსახლეობის გეოგრაფია	X	X	X	X		X
19	მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები	X	X	X			
20	მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია	X	X	X	X		
21	ინგლისური ენა 1	X	X	X	X		
22	ინგლისური ენა 2	X	X	X	X		